სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალფა ექსპრესი“

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

KRESTON
PAPIASHVILI

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალფა ექსპრესი“

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ---------- 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება---------- 10

სრული შემოსავლის ანგარიშგება ---------- 11

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ----------12

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ----------13

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა---------- 14
2. მომზადების საფუძველი---------- 15
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა ---------- 15
4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება ---------- 21
5. ფული და ფულის ექვივალენტები---------- 24
6. გაცემული სესხები ---------- 24
7. წინასწარ გადახდილი გადასახადები---------- 26
8. სხვა აქტივები---------- 26
9. ძირითადი საშუალებები---------- 27
10. არამატერიალური აქტივები ---------- 28
11. მიღებული სესხები ---------- 29
12. სხვა ვალდებულებები---------- 29
13. სხვა შემოსავალი ---------- 30
14. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები---------- 30
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები---------- 31
16. ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება---------- 31
17. რისკების მენეჯმენტი ---------- 32
18. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან ---------- 35
19. განხორციელებული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები ---------- 37
20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა---------- 39
21. არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით---------- 39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის აქციონერებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხისა და მისი გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია მოგების გადასახადის ხარჯად ასახავს მხოლოდ მიმდინარე საგადასახადო ხარჯს, მაგრამ არ ახორციელებს გადავადებული გადასახადის დათვლას იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი აქვთ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის.
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში ჩვენ ჩავატარეთ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აქედან გამომდინარე, არ ვფლობთ ინფორმაციას თუ რა გავლენა ექნებოდა კომპანიის მიერ გადავადებული გადასახადის ასახვას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სს

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების 19-ე შენიშვნაში, 2018-2019 წლების განმავლობაში, იმ დარგის მარეგულირებელ სივრცეში რომელშიც სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი ოპერირებს, მაღალი ალბათობით მოსალოდნელია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები კერძოდ მოსალოდნელია :

- გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპების შემოღება
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის შემოღება
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, სესხების შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესის შემოღება.

ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში, ახსნილია რომ ზემოაღნიშნული მოვლენები და პირობები არსებით განუსაზღვრელობაზე მიანიშნებენ. ამევე შენიშვნაში მოცემულია ადეკვატური განმარტებები - ზემოაღნიშნულ მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტირების მიზნით, ხელმძღვანელობის 2018 წლის გეგმების შესახებ.

ხელმძღავანელობის მიერ დასახული გეგმების პრაქტკაში განუხორციელებლობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მოვლენები და პირობები მნიშვნელოვან ეჭვს ბადებენ სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ მაგრამ აუდიტორის მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებით მოდიფიცირებული არ არის.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ

საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში და „ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ ქვემოთ განხილული საკითხიც აუდიტის ძირითად საკითხად მივიჩნიეთ, რომლის შესახებაც ჩვენს დასკვნაში.ინფორმირება გვევალება:

საწარმოს 2017 წლის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილების შედეგად დაფიქსირდა შემოსავალი 449 589 ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის პერიოდში სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილებით გამოწვეულმა ხარჯმა შეადგინა (298 804) ლარი.

აღნიშნულმა მაჩვენებელმა დიდწილად განაპირობა 2017 წლის პერიოდის მოგება 592 275 ლარის ოდენობით, რის გამოც იგი მიჩნეული იქნა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და შესაბამისად აუდიტის ძირითად საკითხად.
2016 და 2017 წლებში, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ცვლილებებს ს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია:

- სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისას გამოყენებული შეფასების ცვლილებით, რაც საბოლოო ჯამში რეზერვირებისას გამოყენებული განაკვეთის ოდენობის ცვლილებაში გამოიხატება
- 2016 წლის პერიოდზე შესაბამის სესხებზე დარეზერვებული თანხების, 2017 წლის პერიოდში გაუქმებით, რაც შესაბამისი სესხების დაფარვით არის განპირობებული

საკითხების გადაჭრა

სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებთან დაკავშირებული საკითხის გადაჭირის მიზნით აუდიტორის მიერ განხორციელდა 2017 წლის პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხების, ასევე 2017 წლის 31 დეკემბრისათვის დაუფარავ სესხებზე შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ტესტირება.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის საკითხის გადაჭრის მიზნით აუდიტორის მიერ განხორციელდა საწარმოს სამოქმედო გეგმებისა და მათი განხორციელებადობის შეფასება, კერძოდ:

ა) მიღებული იქნა დასტური ერთ-ერთი მთავარი აქციონერისაგან, სააქციო კაპიტალის 2018 წლის ბოლომდე 2 მილიონ ლარამდე შევსების გეგმასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში განხორციელებული დაკვირვების შედეგად, ფაქტობრივადაც ფიქსირდება, აქციონერის მიერ სააქციო კაპიტალის შემდგომი ზრდისა და შესაბამისად მისი შევსების ტენდენცია.

ბ) ხელმძღვანელობისაგან და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისაგან

მიღებული იქნა დასტური, საწარმოს მიერ მიღებული სესხების დაფარვის შედეგად საპროცენტო ხარჯის შემცირებასთან, ასევე საწარმოს მიერ უძრავი ქონების რეალიზების გზით, საწარმოში დამატებითი ლიკვიდური სახსრების მობილიზებასთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2017 წლის 13 ოქტომბერს პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ.
მოდიფიცირების საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი:

"კომპანია მოგების გადასახადის ხარჯად ასახავს მხოლოდ მიმდინარე საგადასახადო ხარჯს, მაგრამ არ ახორციელებს გადავადებული გადასახადის დათვლას იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი აქვთ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის.
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში ჩვენ ჩავატარეთ 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, აქედან გამომდინარე არ ვფლობთ ინფორმაციას თუ რა გავლენა ექნებოდა კომპანიის მიერ გადავადებული გადასახადის ასახვას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით გათვალისწინებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის პოლიტიკა შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკებისათვის დადგენილ წესებს და არ არის მორგებული კომპანიის სპეციფიკაზე, შესაბამისად იგი რეალურად არ ასახავს კომპანიის მიერ გაცემული სესხების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლო დანაკარგების რეზერვს".

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.სავარაუდოდ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობის ანგარიშგებას) და არანაირი ფორმის მარწმუნებელ

დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობის ანგარიშებას) და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშება) არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-

ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით
ლევან პაპიაშვილი

2018 წლის 12 ივნისი
პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	528,322	570,000
წმინდა გაცემული სესხები	6	2,197,359	2,555,024
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	-	5,378
სხვა აქტივები	8	71,795	69,423
ძირითადი საშუალებები	9	126,885	138,373
არამატერიალური აქტივები	10	1,836	2,211
სულ აქტივები		**2,926,198**	**3,340,410**
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	2,050,982	3,475,700
სხვა ვალდებულებები	12	25,336	30,530
მიმდინარე მოგების გადასახადი		17,049	-
სულ ვალდებულებები		**2,093,367**	**3,506,230**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,524,000	1,095,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		(691,884)	(1,266,685)
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		715	5,865
სულ კაპიტალი		**832,831**	**(165,820)**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,926,198**	**3,340,410**

_____	_____
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ქეთევან დარსაძე	ნათია ჯანჯალია
---------- 2018	---------- 2018
თბილისი	თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	14	763,043	865,657
საპროცენტო ხარჯი	14	(297,901)	(379,076)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნამდე		**465,142**	**486,582**
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	6	449,589	(298,804)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი რეზერვების შექმნის შემდეგ		**914,731**	**187,778**
საკომისიო შემოსავლები		1,256	10,415
ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი		121,327	202,965
შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		12,248	15,032
შემოსავალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით		26,867	26,860
სხვა შემოსავალი	13	75,077	4,056
სულ შემოსავლები		**1,151,506**	**447,106**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(559,231)	(555,164)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		**592,275**	**(108,058)**
მოგების გადასახადი		(22,625)	(4,435)
წმინდა მოგება (ზარალი)		**569,650**	**(112,493)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		**569,650**	**(112,493)**

_____	_____
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ქეთევან დარსაძე	ნათია ჯანჯალია
---------- 2018	---------- 2018
თბილისი	თბილისი

14-40 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
31/12/2015	**1,091,000**	**(1,162,901)**	**14,575**	**(57,326)**
				-
ცვლილება სააქციო კაპიტალში	4,000	-	-	**4,000**
ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის გადატანა	-	8,710	(8,710)	**-**
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(112,493)	-	**(112,493)**
31/12/2016	**1,095,000**	**(1,266,684)**	**5,865**	**(165,819)**
ცვლილება სააქციო კაპიტალში	429,000	-	-	**429,000**
ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის გადატანა	-	5,150	(5,150)	**-**
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	569,650	-	**569,650**
31/12/2017	**1,524,000**	**(691,884)**	**715**	**832,831**

_____ _____

დირექტორი
ქეთევან დარსაძე

---------- 2018
თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ნათია ჯანჯალია

---------- 2018
თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2017	2016
წლის მოგება / (ზარალი)	569,650	(112,493)
არაფულადი ერთეულების კორექტირებები:		
მ/ზ-ში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი	22,625	4,435
ცვეთა და ამორტიზაცია	20,416	24,727
სესხის გაუფასურების ანარიცხი	(449,589)	298,804
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება	(12,248)	(15,032)
დარიცხული პროცენტის ზრდა/(კლება)	(53,350)	(32,387)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**97,504**	**168,054**
გაცემული სესხების (ზრდა)/კლება	713,057	(281,844)
დარიცხული გადასახადების, გარდა მოგებისა, ზრდა/(კლება)	4,238	(3,728)
სხვა აქტივების (ზრდა)/კლება	(2,276)	(37,179)
სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)	(3,086)	(28,901)
გადახდილი მოგების გადასახადი	(4,436)	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**805,000**	**(183,598)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(8,553)	(6,903)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(8,553)**	**(6,903)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სააქციო კაპიტალის ზრდით მიღებული ფულადი სახსრები	429,000	4,000
ცვლილებები მიღებული სესხებში	(1,286,645)	668,478
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(857,645)**	**672,478**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილ თანხაზე	19,519	27,195
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(41,677)	509,171
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	570,000	60,829
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**528,322**	**570,000**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში სს "ალფა ექსპრესის" მიერ მიღებულმა და გადახდილმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 702,661 და 378,071 ლარი. 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში მის მიერ მიღებულმა და გადახდილმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 729,258 და 369,598 ლარი.

_____	_____
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ქეთევან დარსაძე	ნათია ჯანჯალია
---------- 2018	---------- 2018
თბილისი	თბილისი

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი“ (შემდგომში -”ორგანიზაცია”) დაფუძნდა 2006 წლის 14 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 202340984, მარეგისტრირებელი ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ., №53. სართული №1, ბინა №2 .

ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: თავმჯდომარე/წევრი: 38001001109, ირაკლი მაჭავარიანი, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01018002946 - რაფიელ სურამელაშვილი, წევრი: 01019000873 - არმაზ თავაძე, წევრი: 01008028283 - თორნიკე ჯანაშვილი, წევრი: 01018000869 - ეკატერინე გიორგობიანი, დირექტორი: 01010019286 - ქეთევან დარსაძე.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მცირე სესხების გაცემა.

1.1 ინფორმაცია კომპანიის აქციების განაწილების შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - 20 000
განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - 15 240
1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება - 100 ლარი

N	გვარი, სახელი საფირმო სახელწოდება	საიდენტ. მონაცემები	მფლობელობის ტიპი	ფ.ქ. რაოდენობა	% გამოშვებული ფ.ქ. - დან	% განთავსებული ფ.ქ. -დან.
1	ჩიქოვანი ლევან	01012001325	რეგისტრირებული მესაკუთრე	500	2.50%	3.28%
2	დარსაძე ქეთევან	01010019286	რეგისტრირებული მესაკუთრე	500	2.50%	3.28%
3	გიორგობიანი ეკატერინე	01018000869	რეგისტრირებული მესაკუთრე	5006	25.03%	32.85%
4	კენკიშვილი თამარ	01008024717	რეგისტრირებული მესაკუთრე	1015	5.07%	6.66%
5	მაჩიტიძე გიორგი	01026011147	რეგისტრირებული მესაკუთრე	109	0.55%	0.72%
6	მერაბიშვილი ჰამლეტ	01017006118	რეგისტრირებული მესაკუთრე	510	2.55%	3.35%
7	შპს. აქტივების მართვის კომპანია	405076661	რეგისტრირებული მესაკუთრე	530	2.65%	3.48%
8	შპს თ&რ დისტრიბუშენ	202311738	რეგისტრირებული მესაკუთრე	2690	13.45%	17.65%
9	სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალფა ექსპრესი“	202340984	საემისიო ანგარიშის მფლობელი	4760	23.80%	0
10	სურამელაშვილი რაფიელ	01018002946	რეგისტრირებული მესაკუთრე	3130	15.65%	20.54%
11	სურამელაშვილი სვეტლანა	01007006589	რეგისტრირებული მესაკუთრე	670	3.35%	4.39%
12	თავაძე არმაზ	01019000873	რეგისტრირებული მესაკუთრე	580	2.90%	3.80%

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

1.2 ბიზნეს გარემო საქართველოში

"კომპანიის" საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს ავლენენ. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მომზადების საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ორგანიზაციის ბალანსზე ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.3 კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები ბალანსში წარდგენილია სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, წმინდა ღირებულებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც ორგანიზაცია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

3.4 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

- ორგანიზაციამ აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება ,,გადაცემის წესის'' საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და

- ორგანიზაციამ ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს, რომ ორგანიზაციამ ან: (ა) გადასცეს აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას, მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხდის მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ორგანიზაცია აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი რჩება, მაშინ აქტივი აისახება ბალანსში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ორგანიზაცია აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

3.5 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები, რომლებიც შეძენილი იყო 2011 წლის ნოემბრამდე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2011 წლის 16 ნოემბრის #022644-2011/10/1 დასკვნით შეფასებულია რეალური ღირებულებით და ანგარიშგებაშიც ასახულია რეალური ღირებულებით.

2011 წლის 16 ნოემბრის შემდეგ ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებით შეფასება აღარ მომხდარა. 2012 წლიდან შეძენილი ძირითადი საშუალებები ფინანსურ მდგომარეობაში მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისტორიული ღირებულებით ასახული ძირითადი საშუალებების ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა(აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა(შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობები	5%
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	15-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	8-15-20%
კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტის მიხედვით	15-20%

ორგანიზაცია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

3.7 დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში ორგანიზაციას არ აქვს სამართლებრივი უფლება დაისაკუთროს ქონება. ორგანზიაციას უფლება აქვს გაყიდოს ქონება ვადაგადაცილებული სესხების პროცენტის და ჯარიმების ამოსაღებად. ორგანიზაცია აღიარებს დასაკუთრებულ აქტივებს ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს სრული და საბოლოო უფლება მათ დასაკუთრებაზე. ამ აქტივებთან დაკავშირებული ვადაგადაცილებული სესხების ჩამოწერა ხდება უზრუნველყოფის დასაკუთრების პარალელურად.

თავდაპირველი აღიარებისას დასაკუთრებული აქტივები ფასდება სესხის ჩამოწერისას არსებული სესხის მოთხოვნის ღირებულებით (რაც ასევე მოიცავს დარიცხულ პროცენტს და ჯარიმას). თავდაპირველი აღიარების შემდეგ დასაკუთრებული აქტივები ფასდება (1) სესხის ჩამოწერისას არსებული სესხის მოთხოვნის ღირებულებასა (რაც ასევე მოიცავს დარიცხულ პროცენტს და ჯარიმას) და (2) დასაკუთრებული აქტივის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ მის რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით.

სხვაობა აქტივის თავდაპირველი აღიარებისას მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ მის რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

3.8 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალს, რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგება (ზარალს). დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

3.9 საგადასახადო დაბეგვრა

კომპანია მოგების გადასახადის ხარჯში ასახავს მხოლოდ მიმდინარე გადასახადს. იგი არ ითვლის გადავადებული გადასახადის ხარჯს/სარგებელს, მიიჩნევს, რომ ეს ნაწილი მისთვის არაარსებითია.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა.

აუდირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალის გადავადება ხდება 5 წლის განმავლობაში.

3.10 შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

3.11 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.12 ჯარიმები გადაუხდელობის ან დაგვიანების გამო და სხვა შემოსავლები და ხარჯები

დაგვიანების ან გადაუხდელობის შემთხვევაში, კლიენტებზე დაკისრებული ჯარიმების აღრიცხვა ხორციელდება საკრედიტო მოდულში(LMS). კომპანია საკრედიტო მოდულში დარიცხული ჯარიმების რეალიზაციას ახორციელებს საკასო მეთოდით.

3.13 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3,1014	2.7940
ლარი/1 გირვანქა სტერლინგი	3.5005	3.2579
ლარი/100 რუსული რუბლი	4,4935	4.2999

3.14 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნას აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მისომ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.
ცვლილებები ბასს 7-ში *„ფულადი ნაკადების ანგარიშგება“:* ინფორმაციის გახსნის ინიციატივა.
ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ასევე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

რამდენიმე ახალი სტანდარტი, სტანდარტების ცვლილება და ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მაჩვენებლებზე. კომპანია გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე. ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	2017	2016
მიმდინარე ანგარიშები ლარებში	35,614	124,159
მიმდინარე ანგარიშები აშშ დოლარში	466,563	426,972
მიმდინარე ანგარიშები ევროში	25,278	3,255
მიმდინარე ანგარიშები რუსულ რუბლში	-	4,455
ჯამურად ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	**527,455**	**558,841**
ნაღდი ფული სალაროში ლარში	171	2,361
ნაღდი ფული სალაროში აშშ დოლარში	521	5,262
ნაღდი ფული სალაროში ევროში	-	3,129
ნაღდი ფული სალაროში გირვანქა სტერლინგი	175	407
სულ ფულადი სახსრები	**528,322**	**570,000**

6. გაცემული სესხები

კომპანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცემს მიკროსესხებს, მოძრავი, უძრავი ქონების და თავდების უზრუნველყოფით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაცემული სესხები სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

სესხის პორტფელი სეგმენტაციის მიხედვით

	2017		2016	
	თანხა	**%**	**თანხა**	**%**
ფიზიკური პირები	2,495,290	99%	3,083,503	93%
იურიდიული პირები	31,000	1%	223,887	7%
სულ მიმდინარე სესხები	**2,526,290**		**3,307,390**	**100%**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

სესხის პორტფელი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

	2017		2016	
	თანხა	**%**	**თანხა**	**%**
სამომხმარებლო სესხები	2,322,38	92%	2,965,207	90%
ვაჭრობა და მომსახურება	197,052	8%	342,183	10%
სულ მიმდინარე სესხები	2,526,290	100%	3,307,390	100%

წმინდა გაცემული სესხები

2016 წელს, კომპანია სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის გასაანგარიშებლად იყენებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დაწესებულ ნორმებს. სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი იანგარიშებოდა ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული არ ასახავდა კომპანიის სპეციფიკას, 2017 წელს კომპანიამ შეცვალა რეზერვების ფორმირების წესი. თითოეულ სესხს მენეჯმენტი განიხილავს ინდივიდუალურად და რეზერვების შექმნისას ითვალისწინებს: სესხის ამოღების ალბათობას; ამოუღებლობით მიღებულ საპროცენტო შემოსავლის დანაკარგს; ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას; მსესხებლისა და თავდებების ურთიერთობას მისოს ინსაიდერებთან.

	2017	**2016**
სესხები ვადაგადაცილების გარეშე	1,519,270	2,645,050
ვადაგადაცილებული სესხები	1,007,020	662,340
მისაღები პროცენტები	5,345	38,667
30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების სესხებზე დარიცხული პროცენტი	130,332	131,352
გადავადებული საკომისიო	(19,077)	(25,871)
სესხის რეზერვი	(445,530)	(896,514)
სულ წმინდა გაცემული სესხები	**2,197,360**	**2,555,024**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

წმინდა გაცემული სესხების ვადიანობის ანალიზი

	ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა გასულია	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	ჯამი
სესხები ვადაგადაცილების გარეშე	-	209,044	947,327	362,899	1,519,270
ვადაგადაცილებული სესხები	400,767	4,683	347,871	253,698	1,007,020
მისაღები პროცენტები	-	135,677	-	-	135,677
გადავადებული საკომისიო	-	(860)	(14,311)	(3,906)	(19,077)
სესხის რეზერვი	(199,458)	(4,854)	(168,237)	(72,981)	(445,529)
სულ წმინდა გაცემული სესხები	201,309	343,691	1,112,651	539,709	2,197,360

7. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	2017	2016
მოგების გადასახადი	-	2,378
სხვა გადასახადები	-	3,000
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	**-**	**5,378**

8. სხვა აქტივები

	2017	2016
სხვა ფინანსური აქტივები:		
მსესხებლების სასარჩელო-საბაჟო დავალიანება	29,812	22,888
მოთხოვნა აუქციონზე შეძენილი ქონების გაყიდვიდან	36,705	-
სხვა დებიტორული დავალიანება	3,860	5,392
სხვა არაფინანსური აქტივები:		
ელ. აუქციონზე გადარიცხული თანხა	-	37,600
ავანსად გაცემული ხელფასი	-	2,813
სხვა ავანსები	614	572
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	803	158
სულ სხვა აქტივები	**71,795**	**69,423**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	კომპ. ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	დანარჩენი ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებ. ძირ. საშ. კეთილმოწყობა	**სულ**
საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**148,407**	**26,261**	**12,548**	**45,554**	**42,829**	**2,950**	**278,549**
დამატება	3,920	-	-	-	44	438	-	4,402
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,920**	**148,407**	**26,261**	**12,548**	**45,598**	**43,267**	**2,950**	**282,951**
დამატება	-	37,600	1,894		4,650	-	880	45,024
ჩამოწერა/გასვლა	-	(37,600)	(4,402)		(28,620)	(20,600)	(290)	(91,512)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,920**	**148,407**	**23,753**	**12,548**	**21,628**	**22,667**	**3,540**	**236,463**
აკუმულირებული ცვეთა								
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(40,193)**	**(16,836)**	**(209)**	**(38,230)**	**(24,503)**	**(295)**	**(120,266)**
პერიოდის ცვეთა	-	(7,420)	(4,169)	(2,510)	(2,977)	(6,316)	(920)	(24,312)
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(47,613)**	**(21,005)**	**(2,719)**	**(41,207)**	**(30,819)**	**(1,215)**	**(144,578)**
პერიოდის ცვეთა	-	(8,830)	(1,991)	(2,510)	(1,905)	(3,551)	(1,254)	(20,041)
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	1,410	4,402	-	28,620	20,600	10	55,042
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(55,034)**	**(18,594)**	**(5,228)**	**(14,492)**	**(13,770)**	**(2,460)**	**(109,578)**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**108,214**	**9,425**	**12,339**	**7,324**	**18,326**	**2,655**	**158,283**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,920**	**100,794**	**5,256**	**9,829**	**4,391**	**12,448**	**1,735**	**138,373**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,920**	**93,373**	**5,159**	**7,320**	**7,136**	**8,897**	**1,080**	**126,885**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**21,703**	**21,703**
დამატება	2,500	2,500
აქტივების ჩამოწერა	-	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**24,203**	**24,203**
დამატება	-	-
აქტივების ჩამოწერა	(21,703)	(21,703)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,500**	**2,500**
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(21,577)**	**(21,577)**
პერიოდის ცვეთა	(415)	(415)
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(21,992)**	**(21,992)**
პერიოდის ცვეთა	(375)	(375)
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	21,703	21,703
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(664)**	**(664)**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**126**	**126**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	**2,211**	**2,211**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,836**	**1,836**

2017 წელს კომპანიამ ჩამოწერა ძველი და ბოლომდე ამორტიზებული პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთაც აღარ იყენებდა.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	**2017**	**2016**
ბანკისგან მიღებული სესხი	-	50,000
იურიდიული პირისგან მიღებული სესხი	-	50,000
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	2,000,932	3,271,764
ბანკისათვის გადასახდელი პროცენტები	-	5,458
ფიზ. და იურ. პირებისთვის გადასახდელი პროცენტები	14,342	30,716
გადასახდელი პროცენტები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია	35,708	67,763
სულ მიღებული სესხები	**2,050,982**	**3,475,700**

ფულადი და არაფულადი ცვლილებების ამსახველი ცხრილი სასესხო ვალდებულებებზე:

	ნაშთი 31.12.2016	ფულადი ნაკადები	არაფულადი ცვლილება (კურსის ცვლილების ეფექტი)	ნაშთი 31.12.2017
სასესხო ვალდებულებები	**3,371,764**	**(1,455,018)**	**84,186**	**2,000,932**

12. სხვა ვალდებულებები

	2017	**2016**
მიმდინარე თვის საოპერაციო ხარჯებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	8,116	10,718
მსესხებლების ანგარიშებზე არსებული თანხები	10,141	12,732
წლის აუდიტორული მომსახურებისთვის შექმნილი ანარიცხი	7,080	7,080
სულ სხვა ვალდებულებები	**25,336**	**30,530**

*მსესხებლების ანგარიშებზე არსებული თანხები წარმოადგენენ მსესხებლების მიერ სესხის შენატანის დროს მეტობით შეტანილ თანხებს, რომლებიც არ გამოიყენება სესხის წინსწრებით დაფარვისთვის და გამოიყენება შემდეგი შენატანის დადგომისას როგორც შენატანის ნაწილი. ამასთან, მისი გატანა მსესხებლებს შეუძლიათ მოთხოვნისთანავე.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

13. სხვა შემოსავალი

	2017	2016
ორი ავტომობილის ყიდვა-გაყიდვით მიღებული მოგება	74,548	-
უსასყიდლოდ მიღებული ქონება	1,000	-
სხვა შემოსავალი/(ზარალი)	(471)	4,056
	75,077	**4,056**

14. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2017	2016
საპროცენტო შემოსავლები	632,711	734,306
30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხებზე დარიცხული პროცენტი	130,332	131,351
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**763,043**	**865,657**
საპროცენტო ხარჯი	(297,901)	(379,076)
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	**(297,901)**	**(379,076)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**465,142**	**486,582**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
ხელფასისა და პრემიების ხარჯი	338,918	366,116
ოფისის იჯარის ხარჯი	47,165	44,301
პროგრამული უზრუნველყოფის ფიზიკური ინფრასტრუქტურის იჯარა	49,078	35,597
ცვეთის ხარჯი	20,024	24,727
სხვა ხარჯები	13,514	9,568
რეკლამის ხარჯი	11,637	13,838
დაცვის ხარჯები	12,036	13,128
აუდიტორის მომსახურების ხარჯი	7,080	10,080
საფოსტო ხარჯები	7,030	9,210
საკომისიო ხარჯები	7,168	7,203
კომუნალური ხარჯები	8,641	5,692
საგადასახადო ხარჯები	2,915	4,219
საოფისე ინვენტარის ხარჯები	4,750	2,018
საკანცელარიო ხარჯები	914	1,360
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,133	807
IT მომსახურების ხარჯი	12,000	2,276
საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის საწევრო	2,760	-
ძირითადი საშუალებების შეკეთების ხარჯები	7,406	5,025
კლიენტების გადამოწმების ხარჯი	4,063	-
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	**559,231**	**555,164**

16. ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს ტრანზაქციის მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად და არა ლიკვიდაციის, ან იძულების შედეგად. წარმოდგენილი შეფასებები შესაძლებელია არ ასახავდეს იმ თანხებს, რომელსაც მიიღებდა ორგანიზაცია მისი ფინანსური ინსტრუმენტების რეალიზაციის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ორგანიზაციის შესაბამის საბალანსო მონაცემებთან ერთად:

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	31 დეკემბერი 2017 წელი		31 დეკემბერი 2016 წელი	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	528,322	528,322	570,000	570,000
წმინდა გაცემული სესხები	2,197,360	2,197,360	2,555,024	2,555,024
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	5,378	5,378
სხვა აქტივები	71,795	71,795	69,423	69,423
მიღებული სესხები	2,050,982	2,050,982	3,475,700	3,475,700
გადასახდელი გადასახადები	17049	17049		
სხვა ვალდებულებები	25,336	25,336	30,529	30,529

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისაგან.

17. რისკების მენეჯმენტი

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ორგანიზაციას საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- ლიკვიდობის რისკს;
- სავალუტო რისკს;
- საბაზრო რისკს.

ორგანიზაცია აღიარებს, რომ რისკის ეფექტიანი და ქმედითი მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ორგანიზაციამ დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ორგანიზაცია დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ორგანიზაციას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარემ შეიძლება ვერ შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ორგანიზაცია იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორსაც ბალანსში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ორგანიზაცია აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებს როგორც წესი გააჩნია უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მაქსიმალური ოდენობა ორგანიზაციას მაქსიმალური საკრედიტო რისკი ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ რისკებზე, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზე.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ზრდის საკურსო სხვაობის რისკს. ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

	2017				
	ლარი	**აშშ დოლარი**	**ევრო**	**გირვანქა სტერლინგი**	**ჯამურად**
აქტივები					
ფული და ფულადი ექვივალენტები	35,784	467,084	25,278	175	**528,321**
გაცემული სესხები	1,259,534	937,826	-	-	**2,197,360**
სხვა აქტივები	71,795	-	-	-	**71,795**
სულ	**1,367,113**	**1,404,910**	**25,278**	**175**	**2,797,476**
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	21,506	2,029,477	-	-	**2,50,983**
სხვა ვალდებულებები	24,397	940	-	-	**25,337**
სულ	**45,903**	**2,030,417**	**-**	**-**	**2,076,320**
სავალუტო პოზიცია	**1,321,210**	**(625,507)**	**25,278**	**175**	**719,739**

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ორგანიზაცია იმ სავალუტო რისკის წინაშე დგას, რომელიც წარმოიშვება აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით. თუმცა, ორგანიზაციის მენეჯმენტი არ მოელის აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსების მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებას.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს მტკიცებულება იმისა რომ, რომელიმე აქტივი გაუფასურებულია და დაფარვა მოხდება კონტრაქტით გათვალისწინებული თარიღის შემდეგ, რა შემთხვევაშიც გაითვალისწინება სავარაუდო დაფარვის თარიღი.

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	ჯამი
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	528,322	-	-	528,322
მსესხებელი კლიენტების სასარჩელო-საბაჟო დავალიანება	29,812	-	-	29,812
მოთხოვნები აუქციონზე შეძენილი სახლის გაყიდვიდან	-	36,705	-	36,705
წმინდა გაცემული სესხები	545,000	1,112,651	539,709	2,197,360
სულ აქტივები	**1,103,134**	**1,149,356**	**539,709**	**2,792,199**
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	236,554	1,764,379		2,000,932
გადასახდელი პროცენტები	50,050	-	-	50,050
სხვა ვალდებულებები				-
მიმდინარე თვის საოპ. საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდ.	8,116	-	-	8,116
მსესხებლების ანგარიშებზე არსებული თანხები	10,141	-	-	10,141
აუდიტორული მომს. შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება		7,080	-	7,080
სულ ვალდებულებები	**304,860**	**1,771,459**	**-**	**2,076,319**
წმინდა პოზიცია	**798,274**	**(622,103)**	**539,709**	**715,880**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებიდან კომპანიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2017 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც გაცემულ სესხებზე წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ჭერი 100%-ით განისაზღვრა. ამ ცვლილებას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მის მიერ გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%-ზე დაბალი იყო.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

18. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს.

18.1.

2017 წლის განმავლობაში სს „ალფა ექსპრესში“ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებისა და მათი დაფარვების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	ნაშთი 01.01.17 (ძირი + დარიცხ.%)	(სესხის გაცემა+პროცენტის დარიცხვა)	(სესხის ძირის დაფარვა+პროცენტის დაფარვა)	გადახდილი ჯარიმა	**ნაშთი 31.12.17** (ძირი+დარიცხული%)
მმართველი პერსონალი და მათი ახლო ნათესავები	-	109,129	50,158	132	58,710
აქციონერები და მათი ახლო ნათესავები	182,695	986,713	934,510	4,779	234,897
სულ:	**182,695**	**1,095,841**	**984,668**	**4,911**	**293,607**

სულ საპროცენტო შემოსავლის სახით 2017 წლის განმავლობაში დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულია 50.872 ლარი.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

18.2.

2017 წლის განმავლობაში სს „ალფა ექსპრესში“ დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხებისა და მათი დაფარვების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	ნაშთი 01.01.17 (ძირი+დარიცხ ული%)	**ბრუნვა დებეტი** (სესხის დაბრუნება + პროცენტის გადახდა)	**ბრუნვა კრედიტი** (სესხის მიღება + %-ის დარიცხვა)	**ნაშთი 31.12.17** (ძირი+დარიცხ ული%)
მმართველი პერსონალი და მათი ახლო ნათესავები	696,151	1,007,014	842,623	531,760
აქციონერები და მათი ახლო ნათესავები	57,715	57,914	7,462	7,354
სულ	**753,866**	**1,064,928**	**850,085**	**539,114**

სულ საპროცენტო ხარჯის სახით 2017 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებზე დაერიცხა 68,101 ლარი.

18.3.

2017 და 2016 წლების განმავლობაში სს „ალფა ექსპრესი“-ს მმართველ პერსონალზე დარიცხული ხელფასებისა და ბონუსების ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

	2017	**2016**
მმართველ პერსონალზე დარიცხული ხელფასები და ბონუსები	198,444	208,261

18.4.

2017 წლის განმავლობაში სს „ალფა ექსპრესმა“ გარე მომწოდებლებისგან შეიძინა 2 ავტომობილი, რომელთა გაყიდვა მოახდინა დაკავშირებულ მხარეებზე:

	თანხები ლარში:
შესყიდვა არადაკავშირებული მხარისგან	266,452
გაყიდვა დაკავშირებულ მხარეზე	341,000
მოგება:	**74,548**
მოთხოვნები მიწოდებიდან - 31.12.17	-

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

19. განხორციელებული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები

2017 წლის 23 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს კანონს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის მინიმალური ოდენობა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) არანაკლებ 500,000 ლარისა 2018 წლის 1 სექტემბრამდე:

ბ) არანაკლებ 1,000,000 ლარისა 2019 წლის 1 ივლისამდე:

ასევე, 2017 წლის 23 დეკემბერს მოეწერა ხელი საქართველოს კანონს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც შეიზღუდა მეწარმე სუბიექტების მიერ ფულადი სახსრების მოზიდვა. ცვლილების მიხედვით, „თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშობა ამ ნაწილის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100 000 (ასი ათას) ლარზე (ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე) ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.“ ეს ნაწილი ძალაში შედის კანონის გამოქვეყნებიდან მე-60-ე დღეს.

გარდა ზემოთაღნიშნული ცვლილებებისა, აქტიურად განიხილება კანონების პროექტები, რომლებიც ძალაში შევა 2018-2019 წელს.

მოსალოდნელია გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპების შემოღება, რაც გულისხმობს იმას, რომ: ბანკს უნდა გააჩნდეს დაკრედიტებისას სხვადასხვა პროფესიების შესახებ რელევანტური სტატისტიკური მაჩვენებლების აკუმულირების სისტემა; სესხის მომსახურეობის PTI კოეფიციენტი (მსესხებლის ანუიტეტის ფარდობა მსესხებლის შემოსავალთან) უნდა შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ ნორმებს; მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ უნდა დაიცვას სებ-ის მიერ რეკომენდირებული, ზოგიერთი პროფესიის მიხედვით დადგენილი, გაცემული თანხის ზედა ზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრება და სხვა.

მოსალოდნელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის შემოღება, რაც აღნიშნული წესით განსაზღვრული კოეფიციენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს:

ნორმატივებისა და ლიმიტების დაწესების მიზნით მოხდება სისტემის დიფერენციაცია შემდეგი ნიშნით:

- **მსუბუქი მიდგომა** – მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთაც მოზიდული აქვთ სახსრები ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მათი საზედამხედველო კაპიტალის 50%–ზე ნაკლები ოდენობით;
- **მკაცრი მიდგომა** – მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთაც მოზიდული აქვთ სახსრები ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მათი საზედამხედველო კაპიტალის 50%–ზე მეტი ოდენობით;

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

დიფერენცირებული მიდგომა გამოიყენება კაპიტალისა და ლიკვიდობის კოეფიციენტების მიზნებისთვის;

	მსუბუქი მიდგომა	**მკაცრი მიდგომა**
კკ (კაპიტალის კოეფიციენტი)	18%	24%
ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი)	18%	25
ქიკ (ქონებრივი ინვესტირების კოეფიციენტი)	40%	
იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი)	15%	
ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი)	15%	
დაკ – (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი)	90%	

ლიკვიდობის და კაპიტალის კოეფიციენტების დაცვის მოთხოვნა მოხდება 6 თვიანი ბიჯით:

ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი)

- **მსუბუქი მიდგომა** –18 %–იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 16% და 18% შესაბამისად 2018 წლის დეკემბრიდან;
- **მკაცრი მიდგომა** – 25%–იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 18%, 20%, და 25%–იანი დიაპაზონებით.

კკ (კაპიტალის კოეფიციენტი)

- **მსუბუქი მიდგომა** –18 %–იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 16% და 18% შესაბამისად 2018 წლის დეკემბრიდან;
- **მკაცრი მიდგომა** – 24%–იანი მოთხოვნა, რომლის დაცვაც მოითხოვება ეტაპობრივად, 6 თვიანი ბიჯით 16%, 20%, და 24%–იანი დიაპაზონებით.

მოსალოდნელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, სესხების შესაძლო დანაკარგების ფორმირების წესის შემოღება (2018 წლის 1 სექტემბრიდან), ეროვნული ბანკის მხრიდან, რაც სესხების შესაძლო დანაკარგების ოდენობის განსაზღვრის მიზნით, შემდეგი მიდგომის ჩამოყალიბებას გულისხმობს:

დარეზერვების დიაპაზონი							
	იპოთეკით უზრუნველყოფილი		ოქროთი და ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი		სხვა მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი		საბლანკო
	LTV <= 70%	LTV > 70%	LTV <= 90%	LTV > 90%	LTV <= 40%	LTV > 40%	
30 დღემდე ვადაგადაცილება	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
30 - 60 დღე ვადაგადაცილება	10%	30%	0%	10%	10%	30%	30%
60 - 90 დღე ვადაგადაცილება	30%	50%	10%	30%	30%	50%	50%
90 - 180 დღე ვადაგადაცილება	50%	100%	30%	50%	50%	100%	100%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	100%		100%	100%	100%		

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მომზადებულია პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შესატანად. ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებული ნორმების გადავადებისთვის. კერძოდ, აღნიშნული გადასახადის გადამხდელები მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „კლასიკური მოდელს“ შეინარჩუნებენ ნაცვლად არსებული 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდისა, 2023 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, მათთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი 2023 წლის 1 იანვრამდე კვლავ იქნება სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, თუმცა აფიქსირებს რომ, საკანონმდებლო ცვლილებების სიმრავლის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ მათი ნაწილი ჯერ მხოლოდ პროექტის დონეზეა და გამუდმებით შედის ცვლილებები, არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ არსებითი განუსაზღვრელობის ირგვლივ მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

21. არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით

2018 წლის განმავლობაში, ასევე 2019 წლის დასაწყისში, მოსალოდნელია საკანონმდებლო ცვლილებები (იხ. შენიშვნა 19), რომლებსაც, დიდი ალბათობით არსებითი გავლენა ექნებათ, ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალფა ექსპრესი“-ს საოპერაციო საქმიანობაზე. მოსალოდნელი ცვლილებების ფონზე, წარმოიქმნება აღნიშნული ცვლილებებით გათვალიწინებული პირობების შესრულებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა. მოსალოდნელი ცვლილებების ფონზე, შესაძლოა შემცირდეს ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალფა ექსპრესი“-ს მიერ გაცემული სესხების ოდენობა და შესაბამისად საწარმოს შემოსავალი, თუმცა, იმავდროულად ახალი რეგულაციები, სასესხო პორტფელის ხარისხის ამაღლებას შეუწყობენ ხელს.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებთან და მათგან გამომდინარე ახალ რეალობასთან ადაპტირების მიზნით, ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესი“ -ს ხელმძღვანელობა 2018 წელს გეგმავს შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

ა)დაგეგმილია, მიღებული სესხების დაფარვა (406,750 დოლარის ოდენობით რაც ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესს“ საპროცენტო ხარჯის შემცირების საშუალებას მისცემს.

ბ) დარჩენილ მიღებულ სესხებზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე, „ალფა ექსპრესი“ აპირებს საპროცენტო განაკვეთის 8%-მდე შემცირებას.

გ)2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია სააქციო კაპიტალის 2 მილიონ ლარამდე შევსება, რაც საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის მიმართულებით იქნება მიმართული (ახალი სესხების გაცემა)

დ)2018 წლის 5 ივნისს, ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესი“-სა და შ.პ.ს.“ეი ბი თრეიდი“-ს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესი“-ს საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების (სკ.01.11.05.036.012.01.509) გაყიდვის მიზნით. ნასყიდობის საგნის ღირებულება შეადგენს 208 743 (ორასრვაათას შვიდასორმოცდასამი) ლარს. ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდა განხორციელდება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

#	**გადასახდელი თანხა :**	**გადახდის არაუგვიანესი თარიღი**
1	136 743 ლარი	2018 წლის 15 ივნისი
2	15 000 ლარი	2018 წლის 15 ივლისი
3	15 000 ლარი	2018 წლის 15 აგვისტო
4	15 000 ლარი	2018 წლის 15 სექტემბერი
5	15 000 ლარი	2018 წლის 15 ოქტომბერი
6	12 000 ლარი	2018 წლის 15 ნოემბერი

მიღებული სესხების ხელშეკრულებაში მისო დებს პირობას, რომლის მიხედვითაც უფლება აქვს ვადამდე დაუფაროს გამსესხებელს სესხის თანხა. ს.ს. მისო ,,ალფა ექსპრესი“ მიმდინარე 2018 წლის განმავლობაში, გეგმავს სესხის სახით მოზიდული სახსრების მაქსიმალურად ჩანაცვლებას ალტერნატიული დაფინანსების წყაროებიდან მიღებული სახსრებით, კერძოდ სააქციო კაპიტალის შევსების ხარჯზე.